



ასოციაცია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები
შენიშვნები
შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადაცემის პროექტის
ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების წინასწარ ვარიანტზე

განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტი, ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ჩანს, შედგა ქართულ ენაზე, შემდეგ ითარგმნა ინგლისურად და შემდეგ – ისევ ქართულად. ამის შედეგად ტექსტში არის ბევრი შეცდომა, მათ შორის ისეთებიც, რომელიც მწვანე ალტერნატივას ხდის დოკუმენტის შინაარსს, ან შეცდომით გადმოსცემს გარკვეულ ფაქტებს.

თავში 3.1.2 გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ჩარჩო მოცემულია ცხრილი 3-1 (გვერდი 37) "საქართველოს ძირითადი გარემოსდაცვითი კანონებისა და ნორმატიული დოკუმენტების სია". ამ ცხრილში მოყვანილი ზოგიერთი კანონი არ არსებობს, მაგალითად: 1996 წ. კანონი ბუნებრივი რესურსების შესახებ, 1997 წ. კანონი ველური ბუნების შესახებ, 1997 წ. კანონი ტურიზმისა და დასვენების შესახებ, 1998 წ. კანონი ტყითსარგებლობის შესახებ. ამას გარდა, ამ ცხრილში მოცემული ზოგიერთი (არაერთი) კანონის სახელმწოდება არასწორადაა მოყვანილი. ამასთანავე, შესაძლებელია ზოგიერთი დასახელებული კანონი დღევანდელი მდგომარეობით ძალადაკარგულია (გაუქმებულია).

შესაძლებელია პრობლემა მდგომარეობს ასევე ქართულ–ინგლისურ–ქართულ თარგმანში, რაზეც ზემოთ გვეყენებს საუბარი. ყოველ შემთხვევაში, აღნიშნული კანონების ჩამონათვალი დაზუსტებას საჭიროებს.

ასევე თარგმანის პრობლემას წარმოადგენს შემდეგი ხასიათის შეცდომები: "კავკასიის ეკოსისტემები მეტად მრავალფეროვანია და მოიცავს ლანდშაფტების ფართო წყებას, მათ შორის ნახევარუდაბნოებსა და ბუნებრივ დაფარულ მშრალ ადგილებს" (უნდა იყოს ჰემიქსეროფილური ბუნებრივი), მეზოფილურ რელიქტურ ფართოფოთლოვან ტყეებსა და ალპურ სამოვრებს (უნდა იყოს "ალპურ მდელოებს"). გვ. 57– "დიდი ძუძუმწოვრების გადაშენების მყოფი სახეობები, როგორცაა ყავისფერი დათვი (უნდა იყოს "მურა დათვი")_ თავში 4.1.7 – "გარდაბანის ალკეტილში ბინადრობს ... გარეული ტახი" (უნდა იყოს "გარეული ღორი") "შველი (Cervus elaphus)"; ეს უკანასკნელი საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი" (უნდა იყოს "ირემი") და სხვა. გვ. 61 "კანონის თანახმად, ალკეტილში დასაშვებია მმართველობითი საქმიანობა" – უნდა იყოს "მართველადი საქმიანობა". გვ. 66 – "როგორც იშვიათი და ენდემური ჯიშები, ისინი შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში" – უნდა იყოს "იშვიათი და ენდემური სახეობები". ეს შეცდომა: "ჯიში" – "სახეობის" ნაცვლად – საკმაოდ ხშირად მეორდება.

საკამათოა ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორცაა "ტენიანი სუბტროპიკული მთები" – ბაღდათისა და ზესტაფონის რაიონთან მიმართებაში.

დოკუმენტში ნახსენებია ცხოველებისა და მცენარეების ბევრი სახეობა, მაგრამ რატომღაც მხოლოდ ნაწილი არის მოხსენიებული ქართული და ლათინური სახელწოდებით. უმეტესობას კი მხოლოდ ქართული სახელი უწერია, ისიც არასრულყოფილად. მაგ. გვ. 62 " – რეპტილიების 4 სახეობა" (ფაქტიურად ჩამოთვლილია 4–ზე მეტი სახეობა – მწვანე ალტერნატივა), როგორცაა

ხელიკები, ხმელთაშუაზღვის კუ, გველგესლა, ჩვეულებრივი ანკარა და ოთხზოლიანი მცურავი (*Elaphe quatuorlineata*).

დოკუმენტში აღნიშნულია: "სახეობათა მრავალფეროვნებისა და განადგურების პირას მყოფი ადგილობრივი ეკოსისტემების გამო ორგანიზაცია Conservation International-მა კავკასიის რეგიონი შეიტანა მსოფლიო ბიომრავალფეროვნების 25 ე.წ. „ცხელ წერტილს“ შორის". სინამდვილეში, დღევანდელი მდგომარეობით გამოყოფილია არა 25, არამედ 34 "ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილი". მათგან საქართველოს ტერიტორია შედის ორის – კავკასიისა და ირან-ანატოლიის ცხელ წერტილებში. თუ დავეყრდნობით განსახილველი დოკუმენტში მოცემულ რუკებს, დაგეგმილი პროექტი მოიცავს ამ ორივე "ცხელ წერტილს".

დოკუმენტის ნაკლს წარმოადგენს, რომ გარკვეულ საკითხებთან/ტერიტორიებთან მიმართებაში საუბრისას სახეობათა ჩამონათვალი არ არის მოყვანილი. მაგალითად: "ისინი წარმოდგენილია ხმელთაშუა ზღვის, აღმოსავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ფლორისა და ფაუნის სახეობებით; მათ შორის ასევე მრავლადაა რეგიონის ენდემური სახეობები (რიგ ტაქსონომეტრიულ ჯგუფებში წარმოდგენილია სახეობათა 20-30%-ით)". რომელია ეს ენდემური სახეობები, დოკუმენტიდან არ ჩანს; ასეთი მომენტები ბევრია დოკუმენტში, მაგალითად, გვერდი 57: "თეთრიწყაროს გარეუბნებში გვხვდება საშუალო და მაღალი ღირებულების მუხნარი, მუხნარ-რცხილნარი და წიფლნარი. ისინი უწყვეტადაა გადაჭიმული ამ ტერიტორიაზე; მათში ბინადრობს ფაუნის მრავალი სახეობა, მათ შორის დიდი ძუძუმწოვრების გადაშენების მყოფი სახეობები"; გვერდი 58: "ეს ტერიტორიები წარმოადგენს მრავალი ცხოველისა და მცენარის გავრცელების არეალს, მათ შორისაა ფლორისა და ფაუნის ენდემური სახეობებიც" – რომელია ეს სახეობები, არ არის გარკვეული;

გაუგებარია რა იგულისხმება ფრაზაში, რომელიც ეხება ქცია-ტაბაწყურის ადკვეთილს: "ეს ტერიტორია ჯერ-ჯერობით არ ირიცხება IUCN-ის დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ნუსხაში, თუმცა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მას IUCN-ის ნუსხაში შესატანის სტატუსი მიანიჭა".

"ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი დაარსდა 1995 წელს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება N 447-ით. დღეისთვის მისი მიახლოებითი ფართობია 50,400 ჰა". სინამდვილეში პარკის ტერიტორია აღემატება მეტია 85 000 ჰა-ს.

ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნები არაა პრინციპული ხასიათის, ანუ არ არის დაკავშირებული შემოთავაზებული საქმიანობის გარემოზე ზეგავლენასთან, მაგრამ მათი გათვალისწინება ხელს შეუწყობს დოკუმენტის ხარისხის გაუმჯობესებას.

ზოგიერთი სხვა შენიშვნა:

გვ. 172 – "ანძები და კაბელები მნიშვნელოვნად ვერ იმოქმედებს ნიადაგის დაბინძურების ხარისხზე. კაბელები ალუმინისაა, ეს ელემენტი კი ბუნებრივადაც გვხვდება ნიადაგებში. ანძები დამზადებული იქნება ფოლადისგან, რომელიც წარმოადგენს რკინისა და ნახშირბადის ნაერთს. ორთავე მათგანი ბუნებაში გავრცელებული ელემენტებია". – ეს არგუმენტი საკმაოდ სუსტია, ყველა ჯანმრთელობისათვის სახიფათო ელემენტი ბუნებაში არის გავრცელებული.

გვ. 172 – "საიზოლაციო ზეთები. სატრანსფორმატორო მოწყობილობაში გამოყენებული დიელექტრიკული სითხე ძირითადად პოლიქლორბიფენოლებია (PCB). ისინი ამოღებულია ფართო მოხმარებიდან, რადგანაც შეუძლიად ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ზემოქმედება. თუმცა, PCB-ის საიზოლაციო ზეთები შესაძლოა გამოყენებული იქნას პროექტით გათვალისწინებულ აღჭურვილობაში. ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, გარდაბანისა და

ზესტაფონის ქვესადგურებში PCB-ი არ გამოიყენება; მისი გამოყენება არ მოხდება ახალციხის ქვესადგურშიც" – მეტად წინააღმდეგობრივი ჩანაწერია და გაუგებარია, მოხდება თუ არა PCB-ის საიზოლაციო ზეთების გამოყენება. ჩვენის აზრით, ცალსახად უნდა აიკრძალოს მათი გამოყენება მთელი ელექტროგადამცემი ხაზის მარშრუტზე.

გვ. 173 – "ჰერბიციდები და პესტიციდები. დერეფანის შიგნით და ქვესადგურების მახლობლად მცენარეთა კონტროლისთვის გამოყენებული ინქა მექანიკური სააშუალებები, რაც არ გამოიწვევს ნიადაგის დაბინძურებას. თუმცა, თუ მოხდება ჰერბიციდებისა და პესტიციდების გამოყენება, ამან შესაძლოა გამოიწვიოს ნიადაგისა და მახლობლობაში განლაგებული წყლის ობიექტების დაბინძურება. ჰერბიციდებისა და პესტიციდების გამოყენების შემთხვევაში საჭირო იქნება შემარბილებელი ზომების განხორციელება, რათა ზემოქმედება არ მოხდეს ნიადაგსა და წყლის ობიექტებზე. ხოლო 188-ე გვერდზე აღნიშნულია: მცენარეთა კონტროლისთვის არ გამოიყენებენ ჰერბიციდებს, რაც შეამცირებს მცენარეებსა და მიწის ჰაბიტატზე მოსალოდნელ ზემოქმედებას" – ასევე წინააღმდეგობრივი ინფორმაცია და სასურველია უფრო მკაფიოდ იყოს განსაზღვრული, განსაზღვრულია თუ არა ჰერბიციდებისა და პესტიციდების გამოყენება. ჩვენის აზრით, ცალსახად უნდა აიკრძალოს მათი გამოყენება მთელი ელექტროგადამცემი ხაზის მარშრუტზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ცხრილი 6-1-ში "გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმა: შემარბილებელი და გაუმჯობესების ღონისძიებები პოტენციური ზემოქმედების თავიდან აცილების ან შემცირებისთვის" ისევ აღნიშნულია, რომ არ მოხდება ჰერბიციდების გამოყენება.

წარმოდგენილი დოკუმენტის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ პროექტით გათვალისწინებული ელექტროგადამცემი ხაზი გადის დაცულ ტერიტორიებზე. ეს ცალსახად არღვევს საქართველოს კანონმდებლობას და შესაბამისად, დონორების რეგულაციებს. ამდენად, საჭიროა კიდევ უფრო მეტად იქნეს დასაბუთებული დაცულ ტერიტორიების გავლით ამ ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების აუცილებლობა. ამ დოკუმენტში წარმოდგენილი მასალა არ არის საკმარისი, იმის დასაბუთებისათვის, რომ არ იქნება დარღვეული გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში მოცემულ გარემოს დაცვის პრინციპები, კერძოდ "პრიორიტეტულობის პრინციპი" – "ქმედება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, შეიძლება შეიცვალოს სხვა, ნაკლებრისკიანი, თუნდაც უფრო ძვირადღირებული ქმედებით. პრიორიტეტი ენიჭება უკანასკნელს, თუ მისი ღირებულება არ აღემატება ნაკლებადღირებული ქმედებით მიყენებული ეკოლოგიური ზიანის შედეგად ზარალის ანაზღაურების ხარჯებს".

პირველ რიგში, უნდა დაზუსტდეს, რამდენ დაცულ ტერიტორიას გაივლის ელექტროგადამცემი ხაზი. თავი 4.1.2.2 "დაცული ტერიტორიები" 60-ე გვერდზე აღნიშნულია: "საპროექტო გადამცემი ხაზის დერეფანი გადის სამ დაცულ ტერიტორიაზე: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკსა და გარდაბნისა და ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილებზე" და შემდეგ მთელ დოკუმენტში მოცემულია მოცემულია მათი აღწერა და ალტერნატივების შეფასება. თუმცა, უფრო ზემოთ 58-ე გვერდზე აღნიშნულია: "დერეფანი ამ მონაკვეთზე ასევე გადის თეთრობის ალკვეთილსაც. ხოლო დანართში E: "შავი ზღვის ელექტროგადამცემის პროექტის მარშრუტის დასწვრივ არსებული ცოცხალი გარემოს დახასიათება; შავი ზღვის რეგიონული ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (მიზანშეწონილობის შეფასება ცხოველთა ბიომრავალფეროვნების დაცვის თვალსაზრისით)", აღნიშნულია: "გადამცემი ხაზი თეთრობის ალკვეთილის საზღვრისგან მოშორებით გაივლის, ამიტომ მისი ფაუნის დეტალური აღწერა საჭირო არ არის" (გვერდი 34). ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს.

განსახილველად წარმოდგენილ დოკუმენტიდან ცალსახად ჩანს, რომ პროექტს სერიოზული ზემოქმედება ექნება გარემოზე. ესაა ტყის მცენარეულობის მთლიანად მოშორება (იხ. გვ.გვ. 157 "5.1.1.2 სამშენებლო, სარეაბილიტაციო და კაბელების სამონტაჟო სამუშაოების პოტენციური

ზემოქმედება. ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მიწით სარგებლობაზე მოსალოდნელია გადამცემი ხაზებისა და მისასვლელი გზების მახლობლად. განსაკუთრებით მძიმე ზემოქმედებაა სავარაუდო ტყიან მონაკვეთებზე სადაც საჭირო იქნება ხეებისა და მცენარეუობის მთლიანად მოშორება ტრასის მთელს სიგანეზე... პროექტის განხორციელების შედეგად, მისასვლელ გზებთან, ანძებთან და ქვესადგურებთან არსებული მიწით სარგებლობა შეუძლებელი გახდება...ტყიან მიწებზე ზემოქმედება მოიცავს საერთო ზემოქმედების 75 პროცენტს." გვ. 175–176: "მცენარეულობა გაიკაფება და ნიადაგის მცირე რაოდენობა მაინც მოიხსნება სამშენებლო ბანაკების, ქვესადგურების და გაფართოებების, ანძების საძირკვლების და სამუშაო ადგილებში, ასევე მისასვლელ გზებზე. ხეების და ბუჩქების გაკაფვა უფრო მგრძობობიარეს გახდის ნიადაგს ეროზიის, მასიური გადაადგილების და მტვრის წარმოქმნის თავლსაზრისით. გაწმენდის ზოლის და მისასვლელი გზების გაკაფვა/გასუფთავება ასევე გაზრდის ზედაპირული ჩამდინარე წყლების ინტენსიობას. ეს იქნება გრძელვადიანი ზემოქმედება ქვესადგურების და ანძების განთავსების ადგილებში, ვიანაიდან ამ ადგილებში მშენებლობის შემდეგ აღარ იქნება მცენარეულობისთვის ხელმისაწვდომი ნიადაგი. ანძის საძირკვლების დასამონტაჟებლად კლდოვან/გრანიტოვან ზედაპირზე შეიძლება საჭირო გახდეს აფეთქებები. აფეთქებებმა მაღალ ფერდობიან ადგილებში შეიძლება გამოიწვიოს ხმაური და სეისმური ტალღები. აფეთქებამ შეიძლება დაშალოს დედაქანი და გამოიწვიოს მასზე არსებული ნიადაგის მასიური გადაადგილება მაღალი მგრძობობის ადგილებში. ანძის საძირკვლებისთვის ჩატრებული აფეთქებებს შედეგად მოხდება მცენარეულობის მოსპობა, ნიადაგის ზედა ფენების და ზედაპირული ქანების მოშორება" და ა.შ.

ამასთანავე, ალტერნატივების შეფასებისას, შედარებულია მხოლოდ რაოდენობრივი და არა ხარისხობრივი მაჩვენებლები. მაგ. იგივე თავი 5.1.1.2: "პირველი ალტერნატივის შედეგად ზემოქმედება ხდება ტყიანი მიწის ყველაზე მცირე მონაკვეთზე (534 ჰექტარი), მაშინ როდესაც მესამე ალტერნატივა ზემოქმედებას ახდენს უდიდეს ნაწილზე (647 ჰექტარი)". "5.2-3 ცხრილში შეჯამებულია ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე. მესამე ალტერნატივა ყველაზე მცირე ზემოქმედების მქონეა (9.09 ჰექტარი), ხოლო პირველი ახდენს ყველაზე დიდ ზემოქმედებას (125.66 ჰექტარი). ზემოქმედება გარდაბანის ალკვეთილზე იდენტურია სამივე ალტერნატივის შემთხვევაში. ზემოქმედება ქცია-ტაბაწყურის ალკვეთილზე ყველაზე მცირეა მეორე და მესამე ალტერნატივების შემთხვევაში, ხოლო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი ორი მესამედით უფრო ნაკლებ ზემოქმედებას განიცდის მეორე ალტერნატივის შემთხვევაში და ზემოქმედება ულის ტოლია მესამე ალტერნატივაში".

ბიომრავალფეროვნებაზე, გარემოზე მიყენებული პოტენციური ზიანი განისაზღვრება არა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლებით. მაგალითად, მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმ ფაქტორს, თუ რამდენ კილომეტრზე კვეთს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ხაზი, ან რა ფართობს მოიცავს მისი დერეფანი (თუმცა ესეც მნიშვნელოვანია). გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ რა ჰაბიტატები დაზიანდება ინფრასტრუქტურის გავლისას. მაგ. აღნიშნულია: გვ. 162 – 47.3 ჰა. ხეებისა და ბუჩქების მოცილება ტრასის 4.7 კმ. მონაკვეთზე ბორჯომის ნაციონალურ პარკში. 9.09 ჰა. მიწით სარგებლობის გაუქმება ქცია-ტაბაწყურში (10კმ.) და გარდაბანში (3.1კმ.). შესაძლებელია, მოკლე მარშრუტზე გავლისას (ალტერნატივა 2) უფრო კრიტიკული ჰაბიტატები ზიანდება, ვიდრე მაგალითად ალტერნატივა 1 დროს. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ალტერნატივების შეფასება სრულყოფილი ვერ იქნება, თუ ამ ეტაპზე არ არის განხორციელებული ჰაბიტატების დეტალური შესწავლა, იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების (განსაკუთრებით მსხვილი მუძუმწოვრების) მიგრაციის გზებისა და პერიოდების შესწავლა, ასევე წყალთან მისასვლელი გზების, სარწყულებლების, გამრავლების ადგილების და სხვა სასიცოცხლო სტაციების, ასევე დიდი ზომის ფრინველების (იშვიათი მტაცებლები, ყარყატი, წერო, ლაკლავი) ბუდეების, იშვიათი მცენარეული თანასაზოგადოებების გამოვლენა. განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, რეკომენდაცია არის გაკეთებული, რომ ასეთი შესწავლა უნდა გაკეთდეს უშუალოდ მშენებლობის დაწყებამდე (იხ. გვ. 195, ცხრილი 6–1 და ა.შ), რაც არ

მიგვაჩნია მართებულად რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ვერ ჩაითვლება ალტერნატივების სრულყოფილ შესწავლად და გაჭირდება დაცულ ტერიტორიაზე პროექტის გავლის დასაბუთება. პროექტის დამტკიცების შემდეგ შესწავლის შედეგად შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ იშვიათი სახეობები ნადგურდება, მაგრამ პროექტის ცვლილება ფიზიკურად აღარ არის შესაძლებელი, რასაც ადგილი ჰქონია არაერთხელ, მაგ. მიმდინარე ჯავახეთის გზის მშენებლობის დროს. ამასთანავე, შესწავლისათვის საუკეთესოა ზაფხულის პერიოდი – მცენარეთა ვეგეტაციისა და ცხოველთა გამრავლების პერიოდების გათვალისწინებით. ამიტომ მეთოდოლოგიურად, შესწავლა შეუძლებელი გახდება მომავალ წლამდე, თუ ის არ დაიწყო უახლოეს დღეებში.

შემარბილებელი ღონისძიებებისას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ტყის ხანძრების პრევენციას, ვინაიდან ახალციხე-ბორჯომის ტერიტორიაზე არსებული წიწვოვანი ტყეები ხასიათდება ხანძრების მომეტებული საშიშროებით. დაცულ ტერიტორიებთან კანონით დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით (ანუ სადაც იძლევა საშუალებას კანონმდებლობა) ინტენსიურად უნდა განხორციელდეს საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული ხანძრების პრევენციის ღონისძიებები.

საჭიროა უფრო მეტი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიების გატარება ინვაზიური სახეობების გავრცელების საშიშროებასთან დაკავშირებით, პროექტში მოყვანილი ღონისძიებები არასაკმარისია.

სოციალური ზეგავლენის შეფასება

ბსგზმ-ს ანგარიშის თანახმად “გადამცემი ხაზის მშენებლობის, ექსპლუატაციის და ტექნომსახურებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება შეიძლება იყოს ზომიერი ან მნიშვნელოვანი იყოს.” თვითონ ანგარიშში ხაზგასმულია, რომ 100 მეტრის ფარგლებში სავარაუდოდ არის დაახლოებით 40 ნაგებობა და GSE იმუშავებს მათ მფლობელებთან და მაცხოვრებლებთან რათა დაითანხმოს ისინი გადასახლებაზე, საკუთრების იძულებითი ჩამორთმევის პრევენციის დანერგვის გარეშე.

ერგზ-ს გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა, მსგავს შემთხვევებს განიხილავს როგორც იძულებით გადასახლებას¹. როდესაც ლაპარაკია ფიზიკურ გადასახლებაზე პოლიტიკის PR5 ის თანახმად მოთხოვნილია გადასახლების სამოქმედო გეგმის შემუშავებას, მიუხედავად განსახლებას დაქვემდებარებულ პირთა ოდენობისა². ამ მოთხოვნების შესაბამისად უკვე პროექტის ამ ეტაპზე აუცილებელია შემუშავებულ იქნას განსახლების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს როგორც ფიზიკურ ასევე ეკონომიკურ განსახლებას, და აღწერს ყველა იმ ძირითად პრინციპსა და მეთოდოლოგიას, რომელზედაც დაყრდნობითაც მოხდება მოლაპარაკებების წარმოება გადასახლებისა და კომპენსაციის შესახებ³. ეს პრინციპები უნდა იყოს

¹ Resettlement is considered involuntary when affected individuals or communities do not have the right to refuse land acquisition that results in displacement. This occurs in cases of: (i) lawful expropriation or restrictions on land use based on eminent domain; 3 and (ii) negotiated settlements in which the buyer can resort to expropriation or impose legal restrictions on land use if negotiations with the seller fail. (PR 5: Land Acquisition, Involuntary Resettlement and Economic Displacement, EBRD Environmental and Social Policy 2008)

² At a minimum, the RAP should:

- state the resettlement objectives
- describe project impacts, identify all people
- to be displaced and provide an inventory of affected assets
- demonstrate that displacement is unavoidable and has been minimised
- describe the legal framework for land acquisition and compensation
- describe the process of consultation •with affected people regarding acceptable resettlement alternatives, and the level of their participation in the decision-making process
- describe the entitlements for all categories ••of displaced people

განხილული და შეთანხმებული დაინტერესებულ მხარეებთან საზოგადოებრივი განხილვების პროცესში.

ბსგზმ-ს წარმოდგენილი ალტერნატივების შემთხვევაში უნდა კონკრეტულად აღიწეროს თუ რა სახის შეუქცევად სოციალურ ზემოქმედებას ექნება ადგილი. ამასთან ბსგზმ-ს ანგარიში გარკვეული შემთხვევებისათვის უშვებს, რომ ანძებისათვის გამოყოფილი მიწის მესაკუთრეები მიიღებენ გამოყოფილი ფართის კომპენსაციას, ხოლო "თუ სამშენებლო სამუშაოები გამოიწვევს მოსავლის ან პირუტყვის დაზიანებას, მათი მფლობელი მიიღებს რეალური საბაზრო ღირებულების ტოლ კომპენსაციას". თუმცა მსგავსი ჩანაწერი ნამდვილად არ არის საკმარისი, ვინაიდან კომპენსაციის პირობები და მეთოდოლოგია უნდა დეტალურად იყოს გაწერილი როგორც თვითონ ანგარიშში, ასევე არატექნიკურ რეზიუმეში.

კარგი იქნება თუ პროექტის მარშრუტის დაზუსტების სტადიაზე მოხდება მიწის მესაკუთრეთა და იმ პირთა იდენტიფიცირება, რომლებიც ტრადიციულად იყენებენ აღნიშნულ მიწის ნაკვეთებს, რათა რაც შეიძლება სრულად იქნას განსაზღვრული შესაძლებელი საკომპენსაციო ზომები და ხარჯი.

ბსგზმ-ს ანგარიში აგრეთვე არ აღნიშნავს, თუ სად მოხდება მუშათა ძირითადი მასის განთავსება (სამშენებლო ბანაკები, განსახლება არსებულ დასახლებაში თუ სხვა), შესაბამისად შეუძლებელია სრულყოფილად შეფასდეს წარმოქმნილი სოციალური რისკები (მათ შორის ინფექციური დაავადებების, მათ შორის შიდსის გავრცელება, პროსტიტუცია და სხვ). 6.2 გეგმაში უბრალოდ აღნიშნულია ძირითადი ბანაკის მშენებლობის საჭიროება, პოტენციური ზემოქმედება და მისი შემარბილებელი ღონისძიებები ზოგადად.

მისასალმებელია, რომ პროექტის სპონსორი ცდილობს დაიცვას ერგზ-ს პოლიტიკის PR 10 და აყალიბებს პროექტის შიდა საჩივრების მექანიზმს, რომელიც ითვალისწინებს ენერგეტიკის სამინისტროში საჩივრების წარდგენის მექანიზმს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ანგარიშში, და არატექნიკურ რეზიუმეში სრულად იყოს აღწერილი როგორც პროექტის შიდა საჩივრების მექანიზმი, აგრეთვე ისიც რომ მოსახლეობას აქვს უფლება თავისი უფლებების დასაცავად გამოიყენოს როგორც საქართველოს კანონმდებლობა, აგრეთვე ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის პროექტის შესაბამისობის მექანიზმი და ევროპის საინვესტიციო ბანკის საჩივრების მექანიზმი.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინება გამოიწვევს დოკუმენტის ხარისხის გაუმჯობესებას და ხელს შეუწყობს პროექტის განხორციელებას.